აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარებისა და გაუქმების წესი

EWUNI

აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი
დამტკიცებულია პრეზიდენტის № 01-12 ბრძანებით
თარიღი: 11 თებერვალი 2025

სარჩევი

მუხლი 1.: ზოგადი დებულებები 2

მუხლი 2 საგანმანათლებრო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების ზოგადი წესი 2

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების კომიტეტი 5

მუხლი 4საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა 5

მუხლი 5 საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება 6

მუხლი 6 დასკვნითი დებულებები 7

მუხლი 7. წესის დამტკიცება 7

დანართები 8

დანართი N1. საგანმანათლებლო პროგრამა; 8

დანართი N2. სილაბუსი; 9

დანართი N3. სასწავლო გეგმა; 10

1. მუხლი 1. ზოგადი დებულებები

მოქმედების სფერო

აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის (შემდგოში - უნივერსიტეტი) პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარებისა და გაუქმების წესი (შემდგოში -წესი) შედგენილია ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების ზოგად წესსა და პრინციპებს.

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების პრინციპები

1. პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებს, რათა ხელი შეუწყოს ინსტიტუციის გრძელვადიან განვითარებას.

2. პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედკანონმდებლობას და აკრედიტაციის სტანდარტებს.

3. პროგრამა უნდა იყოს სტუდენტზე ორიენტირებული, კრიტიკული აზროვნების და პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებაზე მიმართული.

4. პროგრამა უნდა პასუხობდეს ადგილობრივ კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებებს და უნდა მოიცავდეს გლობალურ პერსპექტივებს.

5. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარება, და გაუქმება ურთიერთთანამშრომლობითი პროცესია და მასში მონაწილეობს ყველა დაინტერესებული მხარე, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი და შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამის შექმნას.

6. პროგრამში უნდა იყოს გამოყენებლული ინოვაციური ტექნოლოგიები, რათა სტუდენტები აღჭურვოს დარგის შესაბამისი თანამედროვე ცოდნითა და უნარებით.

7. პროგრამა უნდა იყოს მიმართული მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად, რათა ხელი შეუწყოს გარემოს დაცვისა და სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობას.

8. პროგრამა უნდა სთავაზობდეს სტუდენტებს საერთაშორისო შესაძლებლობებსა და გლობალური განათლების კურსებს, რათა ხელი შეუწყოს მათ მსოფლიო დონეზე კონკურენტუნარიანობას.

a. მუხლი 2. საგანმანათლებრო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების ზოგადი წესი

1. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) არის უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით,

სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები, მათ შორის, ელექტრონული სწავლების გამოყენების შესაძლებლობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განისაზღვრება პროგრამის მიზნების შესაბამისად, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს სწავლის სფეროსა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან;
3. პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება მოიცავს უმაღლესი განათლების საფეხურის შესაბამის ზოგად აღმნიშვნელს, კვალიფიკაციისა და დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს დასახელებას.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს შინაარსის, ამ სფეროს განვითარების ტენდენციების, ამ სფეროში მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებებისა და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.
5. უნივერსიტეტში ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის შესახებ იდეა შესაძლოა მომდინარეობდეს სკოლის საბჭოს, უცხოეთის პარტნიორი უნივერსიტეტის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან და ნებისმიერი დაინტერესებული პირისგან. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
   5.1. ახალი პროგრამის ინიცირება ხდება სკოლის საბჭოზე, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზის, პროგრამის აქტუალობის, სიცოცხლისუნარიანობისა და საჭირო რესურსების დადგენის შესახებ. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზრის, აქტუალურობის, სიცოცხლისუნარიანობისა და საჭირო რესურსების ანალიზი, სკოლის დეკანის წარდგინებით, განიხილება აკადემიური საბჭოს სხდომაზე, საბჭოს წევრების, ინიცირების ავტორებისა და შესაბამისი სამუშაო ჯგუფის წევრების ჩართულობით. საბჭო უფლებამოსილია სხდომაზე მოიწვიოს, ასევე ექსპერტები და ა.შ. და გადაწყვეტილების მიღების დროს გაიზიაროს მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები. საბჭო იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:
      - ინიცირებული ახალი პროგრამის მომზადების შესახებ;
      - ინიცირებული ახალი პროგრამის გადამუშავების, დახვეწის, მეტი სიცხადის შეტანის შესახებ სკოლის საბჭოს მითითების შესაბამისად;
      - ინიცირებული ახალი პროგრამის მომზადებაზე უარის შესახებ.
   5.2. აკადემიური საბჭოს მიერ ახალი პროგრამის შემუშავების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აკადემიური საბჭოს წარდგინებით, პრეზიდენტი გამოსცემს აქტს, პროგრმის ხელმძღვანელის განსაზღვრისა და პროგრამის შემუშავების ჯგუფის შექმნის შესახებ (რომლის შემადგენლობა შესაძლოა განისაზღვროს შემდეგნაირად: აკადემიური და მოწვეული პერსონალი, შესაბამისი ან მომჯნავე დარგის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები შესაბამისი კომპეტენციით), რომელიც წინასწარ შედგენილი პროგრამის გეგმის შესაბამისად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, შესაბამისი კურიკულუმის ფორმირებას, კრედიტების გადანაწილებას, კურიკულუმის შემადგენელი კომპონენტების სილაბუსების შედგენას, შეფასების ფორმების, მეთოდებისა და კრიტერიუმების, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრას, საგანმანათლებლო რესურსების იდენტიფიცირებას, ადგილობრივი და

საერთაშორისო ანალოგიური პროგრამების ანალიზს, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტს, პროგრამის შემუშავების ეტაპზე ასევე შესაძლოა განხორციელდეს პროგრამის შეფასება გარე ექსპერტების მიერ, რომლებიც შეიძლება იყვნენ ადგილობრივი ან/და საერთაშორისო დონეზე მოღვაწე დარგის სპეციალისტები, მაღალი თეორიული და პრაქტიკული კომპეტენციებით.

5.3. შესაბამისი სკოლის საბჭო განიხილავს წარმოდგენილ პროგრამას და იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:
- გადაწყვეტილება პროგრამის შემდგომ ეტაპზე წარდგენის შესახებ;
- უარი გადაწყვეტილება პროგრამის შემდგომ ეტაპზე წარდგენის შესახებ;
- უკან დაუბრუნოს თვიშეფასების ჯგუფს შესაბამისი რეკომენდაციებით;

5.4. პროგრამა განსახილველად გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებსა და შესაბამის დარგობრივ მახასიათებელთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა გადაეცემა აკადემიურ საბჭოს განსახილველად დასამტკიცებლად, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი, შესაბამისი რეკომენდაციებით, უბრუნდება სკოლის საბჭოს.

5.5. წარდგენის შემდგომ, აკადემიური საბჭო იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:
- დაამტკიცოს საგანმანათლებლო პროგრამა;
- უარი განაცხადოს საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე;
- უკან დაუბრუნოს თვიშეფასების ჯგუფს შესაბამისი რეკომენდაციებით;

5.6. აკადემიური საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში, პრეზიდენტის აქტით იქმნება თვითშეფასების ჯგუფი, რომელიც ამზადებს პროგრამის თვითშეფასების ანგარიშს და სააკრედიტაციო პაკეტს აკრედიტაციის მოპოვების მიზნით.

6. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა :
- სტრუქტურული ერთეული რომლის ფარგლებშიც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია და დეტალური სფეროს კოდი;
- უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური;
- სწავლების ენა;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/ები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თარიღი;
- საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების დამტკიცების თარიღი;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა და სტრუქტურა;
- საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები;
- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;
- შესაძლო დასაქმების სფერო;

- სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი;
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- კურიკულუმის რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;

2. მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების კომიტეტი

3. უნივერსიტეტის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით იქმნება თითოეული პროგრამის ფარგლებში პროგრამის განვითარების კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან პროგრამის ხელმძღვანელი/ები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, დამსაქმებელი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი.
4. პროგრამის განვითარების კომიტეტის შემადგენლობა მტკიცდება სკოლის საბჭოზე, დეკანის წარდგინებით. კომიტეტის საქმიანობას უძღვება და თავმჯდომარეობს პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე კომიტეტის შემადგენლობიდან ერთ-ერთ წევრს ეკისრება მდივნის ფუნქცია-მოვალეობები.
5. პროგრამის განვითარების კომიტეტი იკრიბება არანაკლებ წელიწადში ერთხელ და უზრუნველყოფს მოქმედი პროგრამის მიმდინარეობისა და შესაბამისი სტატისტიკური და ანალიტიკური მონაცემების განხილვას. კომიტეტის შეკრების ოდენობას, საჭიროების მიხედვით, ასევე შესაბამის დღის წესრიგს განსაზღვრავს კომიტეტის თავმჯდომარე.
6. კომიტეტის წინაშე დასმული საკითხების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია, ხმის უფლებით ასევე მოწვეული იქნეს შესაბამისი დარგის სპეციალისტი.
7. კომიტეტი უფლებამოსილია თუ შეხვედრას ესწრება მისი შემადგენლობის არანაკლებ ნახევარი. გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით, ხოლო ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომიტეტის თავმჯდომარის ხმა.
8. კომიტეტის სხდომას შესაძლოა დაესწროს სხვა პირ(ებ)ი, რომლის ჩართვა პროგრამის შემუშავების, განახლების/მოდიფიცირების, გეგმიური აკრედიტაციისთვის მომზადების პროცესში არის მიზანშეწონილი. აღნიშნული პირ(ებ)ი არ სარგებლობენ ხმის მიცემის უფლებით.

9. მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა

1. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია განპირობებული იყოს: დარგში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებებით, შიდა და გარე შეფასების შედეგებით, საკანონმდებლო ცვლილებებით და სხვა.
2. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის განვითარების კომიტეტთან ერთად ახორციელებს შესაბამის

პროექტს, რომელშიც აღინიშნება ცვლილების არსი, აუცილებლობა, შესაბამისი დასაბუთება, მონაცემთა ანალიზი, რომელთა საფუძველზე ინიცირებულია ცვლილება და მოსალოდნელი შედეგები.

3. საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის საბოლოო რედაქცია განსახილველად წარედგინება სკოლის საბჭოს და დასამტკიცებლად აკადემიურ საბჭოს.
4. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობ(ებ)ის, სწავლის შედეგ(ებ)ის ან/და საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის (ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების და მისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობის არანაკლებ 30%-ით ცვლილება - დამატება ან/და ამოღება, რაც არ ცვლის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს ან/და კონცენტრაციის დამატება ან/და ამოღება) ცვლილების შემთხვევაში უნივერსიტეტი წერილობით აცნობებსსსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ცვლილების განხორციელებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
5. საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლების ენის ან/და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება დაუშვებელია. ასევე, დაუშვებელია საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანება ან პროგრამის გაყოფა. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის შეთხვევაში დაუშვებელია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ადგილების - მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების ცვლილებაც.აღნიშნული ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები განიხილება ახალ პროგრამად/პროგრამებად, რომელმაც თავიდან უნდა გაიაროს აკრედიტაცია გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.
6. საგანმანათლებლო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელების ცვლილება ან/და საგანმანათლებლო პროგრამების გაყოფა დასაშვებია, თუ აღნიშნული უკავშირდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანას ან არსებულ დარგობრივ მახასიათებელში განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანას.
7. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, უნივერსიტეტი ვალდებულია დაასრულებინოს სტუდენტს სასწავლო კომპონენტი, რომლის შესწავლაც დაწყებული აქვს, ასევე საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტთან ერთად, შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მოდიფიცირებული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.
8. თუ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება მნიშვნელოვნად აუარესებს სტუდენტის მდგომარეობას სწავლის ხანგრძლივობის თვალსაზრისით და ეს ცვლილება არ არის გამოწვეული პროგრამის საკანონმდებლო აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობით, უნივერსიტეტი ვალდებულია სტუდენტს სწავლა დაასრულებინოს პროგრამის მოდიფიცირებამდელი ვერსიით. აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი შენიშვნა კეთდება უნივერსიტეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე გამოცემულ აქტში.

10. მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

1. საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება გაუქმდეს, თუ საგანმანათლებლო პროგრამა:
   - აკრედიტაციის გაუქმება
   - საგანმანათლებლო პროგრამაზე არ ირიცხებიან სტუდენტები
   - არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რაც შეუძლებელს ხდის პროგრამის განხორციელებას.

   უნივერსიტეტმა გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაითვალისწინოს შრომის ბაზრის მოთხოვნები, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირი, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის მიზნით, პარტნიორ დამსაქმებლებთან, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციები, საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა.

2. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს სტუდენტის მიერ განათლების სრულფასოვნად მიღება შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

   ა) უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას და კონსულტაციას სხვა დაწესებულებებში მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების და მობილობის შესაძლებლობის შესახებ;

   ბ) უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს სტუდენტის მობილობას პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

   გ) უნივერსიტეტი მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამის (რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას) განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აფორმებს მემორანდუმს/ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამების თავსებადობის დადგენისა და კრედიტების აღიარების პროცედურებს, მობილობის პროცესის გამარტივების მიზნით;

   დ) უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს უნივერსიტეტის ფარგლებში განხორციელებული შესაბამისი საფეხურის სხვა პროგრამაზე გადასვლას (არსებობის შემთხვევაში) შიდა მობილობის ან საჭიროების შემთხვევაში, რიგგარეშე შიდა მობილობის წესით;

3. თუ ამ მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების პირობები ვერ სრულდება და პროგრამის გაუქმების მიზეზი აკრედიტაციის გაუქმება, უნივერსიტეტი, შესაბამისი რესურსის არსებობის შემთხვევაში, დაასრულებინებს სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამას.

11. მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

a. წესის დამტკიცება

1. წინამდებარე წესი მტკიცდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით.
2. წინამდებარე წესის გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით.

"დამტკიცებულია"

აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტი

გიორგი ხუროძე

12. დანართები

დანართი N1. საგანმანათლებლო პროგრამა;

სკოლა	
საგანმანათლებლო პროგრამა	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
უმაღლესი აკადემიური გაბათლების საფეხური	
სწავლების ენა	
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	
პროგრამის დამტკიცების თარიღი	
საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების დამტკიცების თარიღი	
საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა და სტრუქტურა	
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	
სწავლის შედეგები	
სწავლება-სწავლის მეთოდები	
შეფასების სისტემა	
დასაქმების სფერო	
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი			
სახელი და გვარი	ელ-ფოსტა	აკადემიური სტატუსი	სასწავლო კურსი

დანართი N2. სილაბუსი;

სკოლა	
პროგრამა	
სასწავლო კურსის/ მოდულის დასახელება	
კურსის კოდი	
სილაბუსის ავტორი/ავტორები	
სემესტრი	
სასწავლო კურსის სტატუსი	
სწავლების ენა	
ECTS კრედიტების რაოდენობა:	*საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად*
სასწავლო კურსის მიზანი	
წინაპირობები	
სწავლის შედეგი, კომპეტენციების (ზოგადი და დარგობრივი) ჩამონათვალი	
სწავლება/სწავლის მეთოდები	
სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა/ ფორმები, კომპონენტები, მეთოდები, კრიტერიუმები	
სავალდებულო ლიტერატურა	

<u>კურსის შინაარსი:</u>

	მეცადინეობის ფორმა/ **საკონტაქტო საათები**	**თემის დასახელება**	**ლიტერატურა**
		•	
		•	

დანართი N3. სასწავლო გეგმა;

სასწავლო გეგმა						
N	მოდულის/კურსის კოდი	აკადემიური კურსის/მოდულის სახელწოდება	წინაპირობა	სემესტრი		

დანართი N4. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა								
N	მიზნები/ ს.შ.	ს.შ. 1	ს.შ. 2	ს.შ. 3	ს.შ. 4	ს.შ. 5	ს.შ. 5	ს.შ. 6
	მიზანი 1							
	მიზანი 2							

	მიზანი 3							
	მიზანი 4							

დანართი N5. კურიკულუმის რუკა

კურიკულუმის რუკა								
N	სასწავლო კურსი/ს.შ.	ს.შ. 1	ს.შ. 2	ს.შ. 3	ს.შ. 4	ს.შ. 5	ს.შ. 6	ს.შ. 7
	სასწავლო კურსი 1							
	სასწავლო კურსი 2							
	სასწავლო კურსი 3							
	სასწავლო კურსი 4							